



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 08

2018 წლის 19 თებერვალი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“, „დ.ე“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 22-ე და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები – თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელება, მათი იერარქიული რანგები თანახმად დანართისა.

2. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობების პირთა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 07/08/2017წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.0116220) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 ივლისის №25 დადგენილება.

ბ) „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 24/09/2014წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.133.016117) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 სექტემბრის №22 დადგენილება.

3. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 30 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე